

ნასესხები შუქი

ამიკან სვიმონიშვილის
თარგმანები

საზჩევი



ნასახეობი შუქი ამირან სვიმონიშვილის თარგმანები

დიზაინი: ნატო შუშანია, ოთარ ლითანიშვილი
რედაქტორი: თომას ჰოიზერმანი

© ამირან სვიმონიშვილი, 2013
ყველა უფლება დაცულია.

გამოსაცემად მომზადდა
„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“
თბილისი, 2013

ISBN 978-9941-15-977-0

THE BORROWED LIGHT

Translations by Amiran Svimonishvili

© Amiran Svimonishvili, 2013
All rights reserved

Tbilisi, 2013

გებმანუელენოვანი პოეზიიდან	7
Johann Wolfgang Goethe	
იოჰან ვოლფგანგ გოეთე	9
Selige Sehnsucht	10
ნეტაბი სწრაფვა	11
Friedrich Hölderlin	
ფრიდრიხ ჰოელდერლინი	13
An Neuffer	14
ნოიფერს	15
Clemens Brentano	
ქლემენს ბრენტანო	17
25. August 1817	18
25 აგვისტო, 1817	19
Eduard Mörike	
ედუარდ მიორიქე	25
Septembermorgen	26
სექტემბრის დილა	27
Um Mitternacht	28
შუალამისას	29

Gottfried Keller			Traum des Bösen	58
გოტფრიდ ქელლერი	31		ბოროტის სიზმარი	59
			Abendmuse	60
Gaselen	32		სალამოს მუზა	61
ყაზალეზი	33		Ein Winterabend	62
			ზამთრის საღამო	63
Conrad Ferdinand Meyer			ლიტვუზი პოეზიიდან	
ქონრად ფერდინანდ მაიერი	35		Jonas Liniauskas	
			იონას ლინიაუსკასი	65
Eingelegte Ruder	36		Lyg vanduo	66
მიწყობილი ნიჩბები	37		დინება	67
Schwarzschattende Kastanie	38		Citata	68
ჩემო ჩრდილბნელო წაბლის ხეგ...	39		ციტატა	69
Rainer Maria Rilke			Snigėas	72
რაინერ მარია რილკე	41		ოვლი	73
Der Panther	42		Liudijimas	74
ავაზა	43		მოწმობა	75
Herbst	44		*** (Aš praeisiu pro šali...)	78
შემოდგომა	45		*** (სუნთქვისშემკვრელი...)	79
*** (Wir sind nur Mund...)	46		უკრაინული პოეზიიდან	
*** (ვართ მხოლოდ ბაგე...)	47		Natalia Trochym	
Herbsttag	48		ნატალია ტროხიმი	83
შემოდგომის დღე	49		Сонет	84
Gottfried Benn			სონეტი	85
გოტფრიდ ბენი	51		Дорога	86
Ein Wort	52		გზა	87
სიტყვა	53		Чоловікові на ім'я Час	90
Georg Trakl			მამაკაცს – სახელად დრო	91
გეორგ თრაქლი	55		*** (Капitanи постáрiлись рано...)	92
Rondel	56		*** (წაბლის ხეები პერდებთან...)	93
Rondel	57			

ბელორუსული პოეზიიდან

Наста Манцэвіч	
ნასტა მანცევიჩი	95
*** (Мы крочылі побач...)	96
*** (თვალი თვალს ცნობდა და...)	97
*** (Калі у вачох цямнее...)	98
*** (როცა მერვეა ფიქრი...)	99
*** (Што мне рабіць з табою...)	100
*** (არ ვიცი, რა ვქნა, რა მოგიხერხო...)	101
*** (Сяджу каля тэлевізара...)	104
*** (მივაჩერდები ეკრანს...)	105
*** (Калі недасканаласць свету...)	106
*** (როცა ცხოვრების უკუღმართობა...)	107

თურქული პოეზიიდან

პწკარედი შეასრულა თამარ მამულაშვილმა

Ahmet Telli	
აჰმეთ თელი	109
Kurtlar	110
მგლეები	111
Yerleşik Çingene	112
უჩვეულო ბოშა	113
Kalbim unut bu şiiri	114
მაშინ ეს ლექსიც დაივიწყე, გულო	115
Mecnun	116
მაჯნუნი	117

გერმანულენოვანი პოეზიიდან

Johann Wolfgang Goethe



(1749-1832)

იოჰან ვოლფგანგ გოეთე



(1749-1832)

Selige Sehnsucht

Sagt es niemand, nur den Weisen,
Weil die Menge gleich verhöhnet:
Das Lebendge will ich preisen,
Das nach Flammentod sich sehnet.

In der Liebesnächte Kühlung,
Die dich zeugte, wo du zeugtest,
Überfällt dich fremde Fühlung,
Wenn die stille Kerze leuchtet.

Nicht mehr bleibest du umfassen
In der Finsternis Beschattung,
Und dich reißet neu Verlangen
Auf zu höherer Begattung.

Keine Ferne macht dich schwierig,
Kommst geflogen und gebannt,
Und zuletzt, des Lichts begierig,
Bist du Schmetterling verbrannt.

Und so lang du das nicht hast,
Dieses: Stirb und Werde!
Bist du nur ein trüber Gast
Auf der dunklen Erde.

ნეტარი სწრაფვა

ბრძენკაცის გარდა, ნურავის ეტყვი,
რადგან ბრბო წამსვე აგივდებს მასხრად,
დალუპვას ცეცხლის ალში რომ ელტვის –
სიცოცხლეს ხოტბა მინდა შევასხა.

ტრფობის ღამეთა გრილ ნიაქარში,
რომელმაც გშობა, სად შენ ჰბადებდი,
თავბრუს დაგახვევს უცხო მარმაში
სანთელი მშვიდი ამონათებით.

ჩამოგეცლება გარემომცველი
ბნელი, უკუნი და ჩრდილ-ბინდება,
ახლადჩენილი სურვილი მწველი
სიმაღლეებში დაიწინდება.

არცრა სიშორე გიღირს არაფრად
და მონუსხული ეშვები ფრენით,
შუქს დაეწაფე, პეპელავ, ხარბად,
ფერფლადქცეული ხარ გენიით...

ერთი იცოდე, თუ არ გაქვს ნიჭი,
სიკვდილისა და აღდგომის ნება,
სოფლის სტუმარი წყვდიაღში იჭრი
გზას, უღიმღამო და მოჩვენება.

Friedrich Hölderlin



(1770-1843)

ფრიდრიხ ჰოლდერლინი



(1770-1843)



An Neuffer

Im März. 1794

Noch kehrt in mich der süße Frühling wieder,
Noch altert nicht mein kindischfröhlich Herz,
Noch rinnt vom Auge mir der Tau der Liebe nieder
Noch lebt in mir der Hoffnung Lust und Schmerz.

Noch tröstet mich mit süßer Augenweide
Der blaue Himmel und die grüne Flur,
Mir reicht die Göttliche den Taumelkelch der Freude,
Die jugendliche freundliche Natur.

Getrost! es ist der Schmerzen wert, dies Leben,
So lang uns Armen Gottes Sonne scheint,
Und Bilder besserer Zeit um unsre Seele schweben,
Und ach! mit uns ein freundlich Auge weint.



ნოიფერს

მარტი, 1794

ისევ მოიქცევს ტკბილ გაზაფხულს ჩემი არსება,
კვლავ სიყმაწვილე გულს მილაღებს ბავშვური გზნებით,
კვლავ შეძლო თვალმა სიყვარულის ნამით დავსება,
ვცოცხლობ იმედით, ტკივილებით და აღტაცებით.

კვლავ გოლეულით დარწმუნებულს, სიმშვიდით სახსე,
ვხედავ ლურჯ ზეცას და მწვანე მინდორს,
გამოვთხოვ სასმისს დამათრობელს ციურთა დასებს,
ბუნების ძალი, სიქალწულე აღერსს გამინდობს.

და ნუ შედრკები, რომ სიცოცხლე ტანჯვით გეძლევა,
სანამდე ნათობს უფლის მკლავი და მზის ბორჯღალი,
სულის ნაპირზე მომავალი ხატად ერწევა,
ვაი მე! ტირის მაღლიანი ჩვენს შორის თვალი.

Clemens Brentano



(1778-1842)

ქლემენს ბრენტანო



(1778-1842)



25. August 1817

Einsam will ich untergehn,
Keiner soll mein Leiden wissen!
Wird der Stern, den ich gesehn,
Von dem Himmel mir gerissen,
Will ich einsam untergehn
Wie ein Pilger in der Wüste.

Einsam will ich untergehn
Wie ein Pilger in der Wüste!
Wenn der Stern, den ich gesehn,
Mich zum letzten Male grüßte,
Will ich einsam untergehn
Wie ein Bettler auf der Heide.

Einsam will ich untergehn
Wie ein Bettler auf der Heide!
Gibt der Stern, den ich gesehn,
Mir nicht weiter das Geleite,
Will ich einsam untergehn
Wie der Tag im Abendgrauen.

>>>



25 აგვისტო, 1817

მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
არვის გაგუმხელ ვნებას გულსაკლავს,
ჩემთვის მოწყვეტენ, რომ დავინახე,
ცის კაბადონზე ანთებულ ვარსკვლავს.
მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
ვით უდაბნოში მეუდაბნოს.

მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
ვით უდაბნოში მეუდაბნოს.
თუ ის ვარსკვლავი, ცად რომ ვიხილე,
უკანასკნელი საღმით დამტოვებს.
მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
ვით უპოვარი, მინდორში მთევი.

მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
ვით უპოვარი, მინდორში მთევი,
თუ ის ვარსკვლავი, რომ დავინახე,
ალარ იქნება გზის თანამდევი.
მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
დღეც შეერთება ბინდის კარედებს.

>>>



Einsam will ich untergehn
 Wie der Tag im Abendgrauen!
 Will der Stern, den ich gesehn,
 Nicht mehr auf mich niederschauen,
 Will ich einsam untergehn
 Wie ein Sklave an der Kette.

Einsam will ich untergehn
 Wie der Sklave an der Kette!
 Scheint der Stern, den ich gesehn,
 Nicht mehr auf mein Dornenbette,
 Will ich einsam untergehn
 Wie ein Schwanenlied im Tode.

Einsam will ich untergehn
 Wie ein Schwanenlied im Tode!
 Ist der Stern, den ich gesehn,
 Mir nicht mehr ein Friedensbote,
 Will ich einsam untergehn
 Wie ein Schiff in wüsten Meeren.

>>>



მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
 დღეც შეერთვება ბინდის კარედებს,
 თუკი ვარსკვლავი, რომ დავინახე,
 არ ჩამომხედავს, თვალს ამარიდებს.
 მარტობაში ეს სულიც იშვებს,
 მონას რომ დაღვეს ბორკილის დება.

მარტობაში ეს სულიც იშვებს,
 მონას რომ დაღვეს ბორკილის დება.
 თუკი ვარსკვლავი, ცად რომ შევნიშნე,
 ეკლის ლოგინზე არ დანათდება.
 მსურს მარტოსულის მზე ჩაესვენოს,
 კვდომაა გედის ჰანგთა მპყრობელი.

მსურს მარტოსულის მზე ჩაესვენოს,
 კვდომაა გედის ჰანგთა მპყრობელი,
 ცაზე ვარსკვლავი რომ არ მეჩვენოს
 შუქით მშვიდობის მახარობელი.
 მსურს მარტოსულის მზე ჩაესვენოს,
 ზღვათა ავ სიღრმეს მიეცეს ნავი.

>>>



Einsam will ich untergehn
 Wie ein Schiff in wüsten Meeren!
 Wird der Stern, den ich gesehn,
 Jemals weg von mir sich kehren,
 Will ich einsam untergehn
 Wie der Trost in stummen Schmerzen.

Einsam will ich untergehn
 Wie der Trost in stummen Schmerzen!
 Soll den Stern, den ich gesehn,
 Jemals meine Schuld verscherzen,
 Will ich einsam untergehn
 Wie mein Herz in deinem Herzen.



მსურს მარტოსულის მზე ჩაესვენოს,
 ზღვათა ავ სიღრმეს მიეცეს ნავი,
 ნუთუ, ზეცაში რომ არ მეჩვენოს,
 ეტლს მიაბრუნებს ჩემი ვარსკვლავი?
 მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
 ვით ყრუ ტკივილში იმედი მქრალი.

მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
 ვით ყრუ ტკივილში იმედი მქრალი,
 თუკი ვარსკვლავი, რომ დავინახე,
 დამიხვდა ვნებით ნააბეზრალი.
 მსურს მარტოსული ჩემი მზე ჩაჰხდეს,
 გულიდან გულში განვიდეს ძალი.

Eduard Mörike



(1804-1875)

ედუარდ მიოზიქე



(1804-1875)



Septembermorgen

Im Nebel ruhet noch die Welt,
Noch träumen Wald und Wiesen:
Bald siehst du, wenn der Schleier fällt,
Den blauen Himmel unverstellt,
Herbstkräftig die gedämpfte Welt
In warmem Golde fließen.



სექტემბრის დღია

ნისლებმა მიწის პირი გარინდეს,
ისევ ოცნების ტყვეა ტყე-ველი:
მალე იხილავ ჩამოშლილ რიდეს,
მორღვეულ სამანს, გაძრცვილ ცის კიდეს.
მწიფობის ძალით შუქს რომ ირიდებს
მიწა, ოქროში ჩასაქცეველი.



Um Mitternacht

Gelassen stieg die Nacht ans Land,
 Lehnt träumend an der Berge Wand,
 Ihr Auge sieht die goldne Waage nun
 Der Zeit in gleichen Schalen stille ruhn;
 Und kecker rauschen die Quellen hervor,
 Sie singen der Mutter, der Nacht, ins Ohr
 Vom Tage,
 Vom heute gewesenem Tage.

Das uralte alte Schlummerlied,
 Sie achtet's nicht, sie ist es müd';
 Ihr klingt des Himmels Bläue süßer noch,
 Der flücht'gen Stunden gleichgeschwungnes Joch.
 Doch immer behalten die Quellen das Wort,
 Es singen die Wasser im Schlafe noch fort
 Vom Tage,
 Vom heute gewesenem Tage.



შუადამისას

ღამე თანდათან ავსებს ქარაფებს,
 სიზმრით დაღლილი მოიკალათებს.
 მის თვალწინ ოქროს სასწორი ბრწყინავს,
 დრო მშვიდი ხელით ასწორებს პინას.
 წყარომ კი ტალღა სწრაფად წაიღო,
 დედაღამეს რომ უთხრას, რა იყო
 დღე ჩავლილი და
 დღე დღევანდელი.

ძველთუძველესი ძილისპირულით
 არ იხიბლება თვალმილულული.
 ჯერ კიდევ ტკბილი სილურჯე უმღერს
 ჟამთა თანაბრად გაზიდულ უღელს.
 და თუმცა ღამე ძილმა წაიღო,
 წყარო ძილშიაც ეტყვის, რა იყო
 დღე ჩავლილი და
 დღე დღევანდელი.

Gottfried Keller



(1819 – 1890)

გოთფრიდ ქელლერი



(1819 – 1890)



Gaselen

I

Wie schlafend unterm Flügel ein Pfau den Schnabel hält,
 Von luftigen Vogelträumen die blaue Brust geschwellt,
 Geduckt auf einem Fusse, dann plötzlich oft einmal,
 Im Traume phantasierend, das Funkelrad er stellt:
 So hing betäubt und trunken, ausreckend Berg und Tal,
 Der grosse Wundervogel in tiefem Schlaf, die Welt.
 So schwoll der blaue Himmel von Träumen ohne Zahl,
 Mit leisem Knistern schlug er ein Rad, das Sternenzelt.

II

Und als die Schöpfung bleischwer das Haupt im Schläfe wog
 Und sie ein quälend Traumbild, dass sie *nicht* sei, betrog,
 Und Gott im Himmel selber schlief, vergessend Meer und Land,
 Worüberhin kein Lufthauch als Lebenszeichen zog:
 Da wachte eine Lilie auf, die einsam, einsam stand
 Und die den fernen Sternglanz mit leisem Atem sog;
 Da fiel ein Falter tief in sie, mit dunklem Schwingenrand,
 Der durch den kalten Nachttau mit Mühe zitternd flog.
 Die Flügel schmiegte bebend er an ihres Kelches Wand,
 Die, auch erbebend, ob ihm sich eng zusammen bog.



ყაზალები

I

როგორც მძინარი ფარშევანგი თავს ფრთებში მალავს,
 გულში ჩაიხვევს ლურჯი სიზმრის თავგადასავალს,
 ცალ ფეხზე დგება აწურული, მერე კი უცებ
 გამოაგორებს მოციმციმე თვალსა და ალმასს:
 სწორედ ასევე აზმორებდა მოვრალსა და უძღებ
 სამყაროს, როცა ვერ დაეხსნა ძილს, ქარზე ფრთამალს;
 სიზმრის საუფლო, უთვალავი ცით რომ აოცებს,
 ჩუმი ტკრციალით ვარსკვლავების თალს გადარკალავს.

II

ტყვიადქცეულმა შესაქმემ ძილს ვერ გაართვა თავი;
 იყო მაცდური ზმანება ხშირი და უთვალავი
 და ღმერთსაც ცაში ეძინა ზღვის და ხმელეთის კართან,
 აღარ იძვროდა ჰაერი, არც კეთილი და ავი.
 და გაიღვიძა შროშანმა, სიმარტოვეში გაკრთა.
 შუქსა და საზრდოს აწვდიდა შორ ცათა შესართავი.
 ყვავილს ჩაენთქა პეპელა, შავი მეგზური ქართა,
 ღამის ცვარნამში გავლილი, ტანჯვისგან უმართავი.
 ფრთები დაკეცა, მიენდო და ვით მფარველი კალთა,
 გადაეფარა კამარა დიადი სისადავით.

Conrad Ferdinand Meyer



(1825-1898)

ქონსად ფერდინანდ მაიერი



(1825-1898)



Eingelegte Ruder

Meine eingelegten Ruder triefen,
Tropfen fallen langsam in die Tiefen.

Nichts, das mich verdroß! Nichts, das mich freute!
Niederrinnt ein schmerzenloses Heute!

Unter mir – ach, aus dem Licht verschwunden –
Träumen schon die schönern meiner Stunden.

Aus der blauen Tiefe ruft das Gestern:
Sind im Licht noch manche meiner Schwestern?



მიწყობილი ნიჩბები

ჩამოიცილება ნიჩბებზე წყალი,
ჩაჰყვება სიღრმეს მწკრივი დამწდარი.

არც რა მალეღვებს, არც რა მახარებს,
ამ დღის ტკივილიც მისდევს საღვარეს.

მთვლემარე სულში ნელ-ნელა ქრება
ტკბილი წუთების შუქ-ელვარება.

ღურჯი წყვდიადი მოთქვამს სხვა ხმაზე –
ვინმე ხომ არ ჩანს ჩემს ნასახლარზე?



Schwarzschattende Kastanie

Schwarzschattende Kastanie,
 Mein windgeregtes Sommerzelt,
 Du senkst zur Flut dein weit Geäst,
 Dein Laub, es durstet und es trinkt,
 Schwarzschattende Kastanie!
 Im Porte badet junge Brut
 Mit Hader oder Lustgeschrei,
 Und Kinder schwimmen leuchtend weiß
 Im Gitter deines Blätterwerks,
 Schwarzschattende Kastanie!
 Und dämmern See und Ufer ein
 Und rauscht vorbei das Abendboot,
 So zuckt aus roter Schiffslatern
 Ein Blitz und wandert auf dem Schwung
 Der Flut, gebrochnen Lettern gleich,
 Bis unter deinem Laub erlischt
 Die rätselhafte Flammenschrift,
 Schwarzschattende Kastanie!



ჩემო ჩრდილბნელო წაბლის ხევ ...

ჩემო ჩრდილბნელო წაბლის ხევ,
 ქარწვიმიანო კარავო,
 დინებას გადაფარავენ
 შენი მწყურვალე ტოტები.
 ბნელჩრდილიანო წაბლის ხევ,
 ყურისწამლები ქვითქვითით
 პორტში ყვინთავენ ჭუკები,
 შენს ტევრში ბროლნაშუქები
 ტანით ცურავენ ბიჭები.
 ჩემო ჩრდილბნელო წაბლის ხევ.
 ბინდს ირევს ტბა და ნაპირი,
 სალამო სწრაფი ნავიდან
 ლამპრების შუქს გადაიტანს
 შემოცურებულ ტალღაზე,
 როგორც გაბნეულ ასოებს
 და შენ ამოხსნი აწ გამქრალ,
 ცეცხლით დაწერილ ქარაგმას.
 ჩემო ჩრდილბნელო წაბლის ხევ.

Rainer Maria Rilke



(1875-1926)

რაინერ მარია რილქე



(1875-1926)



Der Panther

Sein Blick ist vom Vorübergehn der Stäbe
so müd geworden, daß er nichts mehr hält.
Ihm ist, als ob es tausend Stäbe gäbe
und hinter tausend Stäben keine Welt.

Der weiche Gang geschmeidig starker Schritte,
der sich im allerkleinsten Kreise dreht,
ist wie ein Tanz von Kraft um eine Mitte,
in der betäubt ein großer Wille steht.

Nur manchmal schiebt der Vorhang der Pupille
sich lautlos auf. – Dann geht ein Bild hinein,
geht durch der Glieder angespannte Stille –
und hört im Herzen auf zu sein.



ავაზა

ცხაურის მწყობრმა მოძრაობამ ისე გალია,
ისე დაღალა მახვილი მზერა,
თითქოს სამყარო შეიმწყვდია რკინის გალიამ,
გისოსებს მიღმა ყოფის არ სჯერა.

სვლა შემპარავი, მოზომილი, რბილი ნაბიჯი,
ათას უმცირეს წრედ რომ ითვლება,
ძალის როკვაა, სად წერტილებს დახრილი მიჯნით
შეუკრებიათ მთვლემარე ნება.

თუ წამისყოფით შეიხსნება მძიმე საგდული,
დაუვლის მძაფრი სიჩუმის ვნება
და ვიდრე ხატი მთელ სხეულში დაისადგურებს,
გულის ყრუ კედელს მიეყინება.



Herbst

Die Blätter fallen, fallen wie von weit,
als welkten in den Himmeln ferne Gärten;
sie fallen mit verneinender Gebärde.
Und in den Nächten fällt die schwere Erde
aus allen Sternen in die Einsamkeit.

Wir alle fallen. Diese Hand da fällt.
Und sieh dir andre an: es ist in allen.
Und doch ist Einer, welcher dieses Fallen
unendlich sanft in seinen Händen hält.



შემოდგომა

ფოთოლი ცვივა, ცვივა, რალაც შორეულს ტოვებს
და თითქოს ცათა საუფლოში ჭკნება ბაღები,
ფოთოლი ცვივა უარყოფით და ხელაღებით,
მძიმე მიწას რომ ღამეები გაიწიალებს,
ვარსკვლავეთიდან მიიქცევა სიმართლოვეში.

ყველა ეცემა, აღმართული ეშვება მკლავი,
ნახე, ამქვეყნად ყოველივემ დაცემა იცის
და მაინც არის ერთადერთი, ვისთვის დაცემა
დაცემაა და უსასრულო სინაზით იცდის.



* * *

Wir sind nur Mund. Wer singt das ferne Herz,
 das heil inmitten aller Dinge weilt?
 Sein grosser Schlag ist in uns eingeteilt
 in kleine Schläge. Und sein grosser Schmerz
 ist, wie sein grosser Jubel, uns zu gross.
 So reissen wir uns immer wieder los
 und sind nur Mund. Aber auf einmal bricht
 der grosse Herzschlag heimlich in uns ein,
 so dass wir schrein –,
 und sind dann Wesen, Wandlung und Gesicht.



* * *

ვართ მხოლოდ ბაგე
 და სხეულის მიღმა ვინ მღერის
 წმინდა, რომელიც ყველა საგნის ყოფაში იცდის,
 ძლიერი რეკვა სხეულებში იყოფა მისი
 მცირე დარტყმებად
 და ტკივილიც, კაცს, მისმიერი
 მიუწვდომლად მოეჩვენება.
 ყოველი წამი გაქცევაა მოჩვენებისგან.
 ვართ მხოლოდ ბგერა
 და ერთხელაც, სულ ერთი წამით
 გაიზარება გულის ფეთქვა ამ ბუმბერაზის.
 მაშინ ყვირილად ვიბადებით,
 მხოლოდ მაშინ ვართ ბედისწერა,
 უფლის ხატი,
 მაშინ ვართ არსი.



Herbsttag

Herr: es ist Zeit. Der Sommer war sehr groß.
Leg deinen Schatten auf die Sonnenuhren,
und auf den Fluren laß die Winde los.

Befehl den letzten Früchten voll zu sein;
gib ihnen noch zwei südlichere Tage,
dränge sie zur Vollendung hin und jage
die letzte Süße in den schweren Wein.

Wer jetzt kein Haus hat, baut sich keines mehr.
Wer jetzt allein ist, wird es lange bleiben,
wird wachen, lesen, lange Briefe schreiben
und wird in den Alleen hin und her
unruhig wandern, wenn die Blätter treiben.



შემოდგომის დღე

დროა, უფალო,
მიიწურა ზაფხულის ყამი.
ჩრდილით მონიშნე მზის საათი,
რომ ველზე ქარმა
დარჩენილი მოცელოს წამი.
ბრძანე, სიმწიფით ამოივსოს ბუნებამ პირი
და სამხრეთული მიუძღვენი მზიანი ვნება,
ჩაწურე მასში.
მძიმე ღვინით მოვინადიროთ
ნაგვიანევი შემოდგომის დღის სიტკბოება,
დღეს უბინაოს მიატოვებს სახლ-კარზე ფიქრი,
მარტოსული კი მარტოობას თავს ვერ დააღწევს,
მუდამ იფხიზლებს,
წაიკითხავს, ვრცელ ბარათს დაწერს,
იხეტილებს ხეივნებში აქეთ და იქით,
სულაწეწილი როცა ქარი ფოთლებს დაარწევს.

Gottfried Benn



(1886-1956)

გოტფრიდ ბენი



(1886-1956)



Ein Wort

Ein Wort, ein Satz –: aus Chiffren steigen
erkanntes Leben, jäher Sinn,
die Sonne steht, die Sphären schweigen,
und alles ballt sich zu ihm hin.

Ein Wort – ein Glanz, ein Flug, ein Feuer,
ein Flammenwurf, ein Sternenstrich –
und wieder Dunkel, ungeheuer,
im leeren Raum um Welt und Ich.



სიტყვა

სიტყვა, სტრიქონი –: შიფრიდან ავლენს
ფიქრს გაელვებულს, ცხოვრების საზრისს,
მზე დგას. დუმილის ზვირთებშენავლებს,
სფეროთ სისრულეს ზიარს ხდის ამგზის.

სიტყვა იბრწყინებს, გაფრენა, ცეცხლის
ამოფრქვევა და ვარსკვლავთმეცაღმე,
ისევ ცარიელ სივრცეს სახეცვლის
ბნელი საზარი, სამყარო და მე.

Georg Trakl



(1887-1914)

გეორგ თრაქლი



(1887-1914)



Rondel

Verflossen ist das Gold der Tage,
Des Abends braun und blaue Farben:
Des Hirten sanfte Flöten starben
Des Abends blau und braune Farben
Verflossen ist das Gold der Tage.



Rondel

დათხეულია დღეების ოქრო,
სალამოს თალხი, ლურჯი ფერები,
მწყემსს უნაზესი სალამური კვდომამ გაუქრო,
დათხეულია დღეების ოქრო,
სალამოს ლურჯი, თალხი ფერები.



Traum des Bösen

Verhallend eines Gongs braungoldne Klänge –
Ein Liebender erwacht in schwarzen Zimmern
Die Wang' an Flammen, die im Fenster flimmern.
Am Strome blitzen Segel, Masten, Stränge.

Ein Mönch, ein schwangres Weib dort im Gedränge.
Gitarren klimpern, rote Kittel schimmern.
Kastanien schwül in goldnem Glanz verkümmern;
Schwarz ragt der Kirchen trauriges Gepränge.

Aus bleichen Masken schaut der Geist des Bösen.
Ein Platz verdämmert grauenvoll und düster;
Am Abend regt auf Inseln sich Geflüster.

Des Vogelfluges wirre Zeichen lesen
Aussätze, die zur Nacht vielleicht verwesen.
Im Park erblicken zitternd sich Geschwister.



ბოროტის სიზმარი

საცხონებელმა ზანზალაკმა ჩაიწკრიალა,
მიათბობს ყვრიმალს წვრილ ვარსკვლავებს სარკმელზე მეტრფე,
გალვიძებული ბნელ დარბაზში შუქთა ფარტენით,
მოჩანს ანძები, ბაგირი და აფრა კრიალა.

ბერი... ორსული დედაკაცი... ორომტრიალი,
სად ჭიაფერი პერანგები დაფარფატებენ,
კვნესის გიტარა, ხმება წაბლი, ოქროს ნაფოტი,
ამართულ ტაძარს შავად მოსაგს იალკიალი.

სული ბოროტი იმზირება ცვილის ნიღბიდან,
მიწა ხორშაკად მიაქცია, დაისი – ნაცრად,
ჩურჩულით იპყრა კუნძულები სმენის წარმტაცმა.

ჩიტის არეულ გაფრენაში მოხაზულ იღბალს
ეშურებიან კეთროვანნი ტკივილის მიღმა.
ბალში კი თვალი თვალს შეხვდება, შეკრთება და-მმა.



Abendmuse

Ans Blumenfester wieder kehrt des Kirchturms Schatten
Und Goldnes. Die heiße Stirn verglüht in Ruh und Schweigen.
Ein Brunnen fällt im Dunkel von Kastanienzweigen;
Da fühlst du: es ist gut! in schmerzlichem Ermatten.

Der Markt ist leer von Sommerfrüchten und Gewinden.
Einträchtig stimmt der Tore schwärzliches Gepränge.
In einem Garten tönen sanften Spieles Klänge,
Wo Freunde nach dem Mahle sich zusammenfinden.

Des weißen Magiers Märchen lauscht die Seele gerne.
Rund saust das Korn, das Mäher nachmittags geschnitten.
Geduldig schweigt das harte Leben in den Hütten;
Der Kühle linden Schlaf bescheint die Stallaterne.

Von Lüften trunken sinken balde ein die Lider
Und öffnen leise sich zu fremden Sternenzeichen.
Endymion taucht aus dem Dunkel alter Eichen
Und beugt sich über trauervolle Wasser nieder.



საღამოს მუზა

სარკმელზე ყვავილს ისევ მისწვდა სამრეკლოს ჩრდილი
და ოქროული ცხელი შუბლი მინავლება,
ჩამოდის წაბლის ძირას სოფლის წყარო ჭავლებად
და გრძნობ: წრფელია! ტკივილებით ღონემიხდილი.

დროული ხილი მოილია დახლზე რიგებად,
შავი კარიბჭე კრავს სივრცეებს, მკვიდრად ნაგები,
ბაღში უკრავენ, აიშლება ნელი ჰანგები
იქ, სად ნასამხრალს არიფანა შეიკრიბება.

ზღაპრების თეთრი ჯადოქარი სულს მოუოხებს,
იწივლებს ახალაღებული თავთავი მინდვრად
და ქონში მკაცრი ყოფა თმენას იწესებს მინდად,
ძილს გაუნათებს ნავთის ლამფა ბოსელში ძროხებს.

ქუთუთო ქარის მათრობელა ჩაიკრეს ფრთებმა,
ფრთხილად გაუნდო უცხო ეტლის ვარსკვლავთა რონინს,
გამოვა ბნელი მუხებიდან ენდიმიონი
და მწუნარების საგუბართან ჩაიკრიფება.



Ein Winterabend

Wenn der Schnee ans Fenster fällt,
Lang die Abendglocke läutet,
Vielen ist der Tisch bereitet
Und das Haus ist wohlbestellt.

Mancher auf der Wanderschaft
Kommt ans Tor auf dunklen Pfaden.
Golden blüht der Baum der Gnaden
Aus der Erde kühlem Saft.

Wanderer tritt still herein;
Schmerz versteinerte die Schwelle.
Da erglänzt in reiner Helle
Auf dem Tische Brot und Wein.



ზამთრის საღამო

როდესაც თოვლი ეცემა სარკმელს
და უსასრულოდ რეკს მწუხრის ზარი,
მრავალს გაშლილი სუფრა აღადებს,
გამშვენებული უდგას სახლ-კარი.

ვიღაც კი მოდის, მოხეტიალებს,
ბჭვს უბრუნდება წყვილიანი გზები,
მოწყალების ხე ოქროდ ბრიალებს,
მიწიდან ცივი წვენით ნაგზნები.

მგზავრმა შემოდგა ნაბიჯი უხმოდ,
ქვადქცეულ ზღურბლზე ტკივილი ივნო,
წმინდა ნათელში ტაბლასთან უხმობს
გაბრწყინებული პური და ღვინო.

ლიტვური პოეზიიდან

Jonas Liniauskas



იონას ლინიაუსკასი





Lyg vanduo

Aš norėčiau sugrįžti, bet grįžti į kur neturiu,
Lyg vanduo vakarykštis veržiuosi į priekį ir bėgu,
Zodžių putos sustingusios seklumose kambarių,
Liftų šachtose vien semiotiniai lynai ir bėgiai.

Aš pakelsiu tave, aš prikelsiu tave vakare,
Gal nors tu įžiūrėsi žvaigždynuose slypinčią prasmę, –
Ten ledinės gegutės dar tykoja Paukščių Take,
Kad padėtų kometos kiaušinį buvimui įprasminti.

Ir į klausimą: – Mano žavi pakeleive, kas tu?
Išgirstu jau ne vieną atsakymą – lydinčių chorą.
Ir einu vis greičiau – lyg vanduo su viskuo jau kartu,
Vis patekdamas meilei ir mirčiai, aistrai ir gėlai į porą.



დინება

მინდა დავბრუნდე, არ არსებობს ეს დაბრუნება,
წინმსწრები ტალღა აღარ ტოვებს დროს და საფიქრალს,
ვიწრო ოთახში მიჭირს სიტყვის ზმა და ბრუნება,
მკლავს ლიფტიანი კორპუსების ცივი გრაფიკა,

შუალამისას გაგაღვიძებ სიზმრებთან წასულს,
უშენოდ ველარ ვესიტყვები ვარსკვლავთა გუნდებს,
ჩავციებივარ გუგულივით ცას, ფრთით მოხაზულს,
კუდიან ვარსკვლავს სამჯერ მაინც შევუცვლი ბუდეს.

სულერთი არის, მშვენიერო, რაც უნდა გერქვას,
ათას კითხვაზე ათას პასუხს მომიგებს ქორო,
ქვეყნიერებას ჩემი ვნების ძალა წაღეკავს,
თვით სიკვდილი და სიყვარული რომ შევასწორო.



Citata

Mes mėgdavome gerti
 Puikiausiomis dienomis
 Ir mūsų buvimas sulaukdavo atsako:
 Alyvų kekės įgaudavo spalvą
 Lyg plaukdami debesys paliktų savo putas;
 Suraibuliudavo nuo varpų bažnyčių bokštai,
 O jūs, baltais nuometais prisidengusios,
 Žengdavote per slenksčius į vėsų šešėlį.
 Mes mėgdavome gerti
 Liūdesio dienomis,
 Kai nėra atminty atstumu,
 Ka viskas nyksta dabar ir šiandien, ir amžinai.
 Mes mėgdavome gerti
 Paklaikę iš skausmo, –
 Kad viskas pasaulyje trūkinėja
 Ir sausai pokši lyg būtų saugyslės,
 Ir niekas neberiša prie namų,
 Prie draugų ir prie atminties.
 Mes mėgdavome gerti
 Vienatvės valandomis,
 Bandydami užpildyti savo prarajas,
 Kuriose lizdenasi aidas, –



ციტატა

უქმე დღეებში შევექცეოდით ღვინოს
 და ცხოვრება თავს არ გვანებებდა,
 შორს ზეთისხილი აფითრებდა ფურცელს.
 თითქოს ცაზე ღრუბელი იცრებოდა,
 მზის ნიაღვარში ირწყოდა სამრეკლოები,
 მალალი, თეთრი ქალი
 ჩრდილს ეკედლებოდა..
 მოქუფრულ დღეებში
 შევექცეოდით ღვინოს
 და მოგონებებს თავს ვერ ვართმევდით,
 როცა ქრებოდა ყველაფერი,
 ინავლებოდა.
 ტკივილისაგან გათანგულები
 შევექცეოდით ღვინოს,
 გაგლეჯილი მყესივით ეთრეოდა სამყარო
 და ირგვლივ ყველას
 მობეზრებოდა სახლი, ფუძე და ნათესავი.
 სიმარტოვეში შევექცეოდით ღვინოს
 და გვიბრუნებდა უფსკრული ექოს,
 ცარიელსა და მოუხელთებელს,
 სარკის ცივი ანარეკლივით.



Aidas, kuris yra tiktai tuštuma,
 Tik neregys priešais veidrodi.
 Mes mėgdavome gerti
 Juoko akimirkomis –
 Prunkšdami ir apsitaškydami
 Lyg maži vaikai, tariantys gimtąjį žodį,
 Kurio iki mirties bus neįmanoma
 Taisyklingai išarti.
 Mes mėgdavome gerti
 Dviese ir trise,
 Ir visas stalas, ir keli šimtai,
 Ir keli šimtai milijonų –
 Tą pačią dieną ir tą pačią valandą
 Siekddavome savo taurės:
 Vienatvėje ir liūdesyje,
 Meilėje, džiaugsmo, neapykantoje;
 Šeimoje, traukiniuose,
 Tavernose ir kiemuose su kaimynais, –
 Reikėdavo rasti tik tinkamą progą;
 Pavyzdžiui, – su Naujaisiais metais!
 Taip ėjo šimtmečiai ir karai,
 Taip kilo ir leidosi žolės į žiemą, į vasarą,
 Keistėsi pinigai, vyriausybės ir sienos,
 O mes vis gėrėme nesustodami,
 Kiekvieną taurę lydėdami tostais ir žodžiais,
 Kurie, matyt, yra tik laiko citatos,
 Nes prasideda: - Ar tu prisimeni...

სიცილ-ხარხარით
 შევექცეოდით ღვინოს,
 ულაზათობი,
 პატარა ბიჭებივით ენას ვიტყხდით
 და მაინც
 სწორად ვერ ვამბობდით მშობლიურ სიტყვებს.
 სიყვარულით შევექცეოდით ღვინოს, –
 ვიყავით ბევრნი – ათასები, მილიონები
 და სწორედ იმ წამს
 იკვრებოდა დიდი ერთობა
 და რიგდებოდა სასმისები მარტოობაში,
 სიყვარულსა და სიძულვილში,
 მატარებელში,
 ტავერნებსა თუ ეზოებში –
 დაღვეის მიზეზს რა გამოლევს
 ან შეჩვეულ დღესასწაულებს?!
 გავიდა წლები,
 გადაგვხდა ომები.
 ამოვიდა და გაითიბა ბალახი მინდვრად,
 შეიცვალა ფული, მთავრობა, საზღვრები,
 ჩვენ კი გაუთავებლად დგვამდით:
 თითოეულ სასმისს სიტყვა ებმოდა
 და ეს სიტყვა
 იყო დროის ამონარიდი
 და იგი ასე იწყებოდა – „გახსოვს...“



Snigeas

Vis pakniopstom, vis vėluodamas,
 Vis po minutę nespėdamas,
 Žiūrėk, tiek nebaigtų darbų prikaupiau,
 Jau nė šimtmetis nebepadėtų.

Žiogus užmiršau prisukti –
 Nebečirškia ir nebestraksi,
 Genių elementai nusėdo –
 Nebetarškina į ryto kraštą.

Net musės vos parėplioja –
 Visoms pasibaigė laikas.
 Lyg dar vakar, pašėlusias, vydavau
 Nuo duonos, medaus ir pieno.

Saldus buvo gyvenimas –
 Praėjo neįvykdamas.
 Dabar net į pirmą sniegą
 Žiūriu jau ašarodamas.



თოვლი

კვლავ მოვიჩქარი, წამნი რბიან და
 ვაითუ ისევ დამაგვიანდა,
 ამ სიჩქარეში რამდენჯერ მოვცდი,
 საუკუნეც ხომ არ ჰყოფნის მოცლილს.

ველარ მოვმართავ ძაფით ჭრიჭინებს,
 ეს ჭრიჭინებიც ვერ დავიბრინე,
 მექანიკური გუგული მოკვდა,
 ხშირი ყივილით ცალს რომ უხმობდა.

დაზოზინებენ ზამთრის ბუზები,
 გადაილია ჟამი უცები,
 ვსვამდით იმ ძალას, დღეს რომ გაფრინდა,
 ჟინით პურიდან, რძიდან, თაფლიდან.

ჩემი ცხოვრება
 ზღაპარს არ ჰგავდა,
 თვალცრემლიანი
 დავრჩი ზამთართან.



Liudijimas

Sako, gimiau su marškinėliais, –
 Dar kūdikystėje rėpliodamas
 Pliaže po akmenukais ir jūržolėm
 Rasdavau gintarėlių ir pinigų.
 Kad nieko aplink nenuliūdinciau,
 Slėpdavau burnoje, ką suradęs.
 Mama liepdavo: – Spjauk, ką ten turi!
 Išspjaudavau pusę rublio, gintaro, grandinėlių,
 Aukso žiedų ir perlo karolių, – nelygu diena.
 Kad niekas nesužinotų, nuvežė į kitą miestelį
 Pas pediatrą: – Daktare, – sakė,
 – Ima visoki brudą į burną,
 Gali patekti sifilis arba niežai...

>>>



მოწმობა

თქვეს: იღბლიანი დაბადებულა...
 სიყმაწვილეში ზღვა ნაავდრალი
 ნაპირზე, ქვეებს და ბალახებს შორის
 ჩემთვის ტოვებდა ხურდას ან ქარვას.
 როცა მონაგარს სხვისგან ფარულად პირში ვმაღავდი,
 შეშინებული ბრაზობდა დედა;
 და მეც ვაბნევიდი დღეცისმარე ხურდას და ქარვას,
 ფერად კენჭებს, ოქროს ბეჭდებს, ასხმულ ნიჟარებს.
 ჰოდა, ერთხელაც,
 ვაბეზრებულმა დედამ მკურნალთან მიმიყვანა
 და მოახსენა: მავნე ჩვევა აქვს,
 რასაც იპოვის, პირში იყრის,
 იქნება მუნიც დაიმართოს ან სხვა, უარესი...
 ისეთი მწარე წამალი მომცეს,
 კინალამ მოგკვდი...

>>>



Išrašė vaistų – vos nenumiriau.
 Nuo pirmos klasės pradėjau
 Graužti plunksnakočius ir knygas,
 Nes viskas, ką turi savyje, palaiko gyvybę.
 Paaugęs, grauždavau moterų lūpas
 Ir grauždavau save, kad išsinešu
 Burnoje jų auksinį kvapą ir skonį,
 Kuris per naktis neišnyksta.
 Vėliau radau žodžių, kurių neištardavau, –
 Nešiodavausi po liežuvio burnoje.

Dabar jau galiu paliudyti, –
 Yra lyžčiojimas, lytėjimas,
 Artikuliacija ir kvėpavimas,
 Yra lūpų ovalinis O
 Ir liežuvio ilgasis Y,
 Yra lėtas slyvų slydimas
 Ir vyno raudonis gomuryje.
 Meilė ir oras, gyvastis ir neapykanta
 Įeina ir išeina pro mano burną, –
 Tą tvirtinu aš,
 Visą gyvenimą įsikabinęs
 Į jį dantimis.



მერე სკოლაში, ვცლაპავდი წიგნებს,
 ვლრლნიდი კალმისტრებს
 და მალონებდა,
 ცხოვრება რომ მხარს ვერ მიბამდა.

მერე და მერე
 კოცნით ტუჩები უსკდებოდათ კლასელ გოგონებს,
 მე კი ისევ სინდისი მღრღნიდა,
 რადგან მინდოდა,
 ასე გამექრო იმ ოქროს გემო,
 სულ რომ თან მდევდა
 და ღამესაც არ მიჰყვებოდა...
 და მხოლოდ გვიან,
 ამოუთქმელი ყველა ბგერა გაცხადდა სიტყვად:
 სუნთქვა ჰოესი,
 ბანი და ფანი –
 ტრფობა, დათმენა, თანაღმობა, ჰარი-ჰარალი –
 აი, ის ქარვა,
 ზღვის მონაგარი,
 ჩემი სათქმელი –
 სულივით რომ კბილით მეჭირა.



* * *

Aš praeisiu pro šalį, nes liūnai patvino ir šlapia,
Purvinom papilvėm ieško ančių išalkusios lapės.

Ant kalvelės šermukšnyje strazdas juodesnis už liūną,
Pats vidurdienis, spalvis, ir kito čia laiko nebūna.

Carex, scirpus ar cyperus, – viksvos toliausiai nuėjo, –
Jos tikrai ne šios žemės, tikrai iš vandens ir iš vejo,

Kaip ir žodžiai, suaugę į skurstantį sakinio kuokštą,
Kreipinys tarsi vilkdalgis puokštę iš viksvų papuoštų.

Per vėlu, mano spalvis neturi gyvybės nė lašo,
Tik šermukšnis iš įpročio uogomis laša ir laša.

>>>



* * *

სუნთქვისშემკვრელი, ჩაჟამებული ჭაობიდან
გალწევას ვცდილობ
იქ, სადაც დაძრწის მშიერი მელა –
მუცელზე ხოხვით ეძებს საკბილოს.
შავი შაშვების გუნდი ხარბად შესვია
ბორცვებზე ცირცელს,
დაიგვიანეს, მხარი ეცვალათ, გადაუარეს
დროსა და სივრცეს..
თავნასკვა, ისლი, ლერწამი და სიშორეში
წვება ლელქაში,
ფეხს ვერ ვიკიდებ მე ამ მიწაზე,
წყლით ვსაზრდობ და ვირწევი ქარში.
აქ სიტყვას ძნელად გაერთვება ნაცნობი სიტყვა –
ფიქრის კრებული,
აქ სიტყვა იძვრის – ზამბახი ლერწმის სევდაში
ამოგზნებული.

>>>



Aš praeisiu tą spalį, praeisiu pro šalį, atrodo.
Taip retėja ruduo kaip voratinklis, gal ne ruduo, o

Dingsta vietos, kurias dar iš tolo nakvynei rinkausi, –
Jas pasiėmė liūnai, strazdai nugyveno juodžiausi.

Aš ejau metų metais, nepajėgiau liūnų išbristi,
Tik kas dieną mačiau nuo manes vis nutolstantį Kristų.



ჟამი არ ჟამობს, ჩემს ოქტომბერსაც
ალარ შერჩა ყოფნის ნიშატი,
თუმც ძველებურად ისხამს ნაყოფს დაცვარული
ბებერი ფშატი.

ამ ღვინობისთვის ზურგს შევაქცევ,
იცრიცება და იბლანდება,
ობობას ქსელში შემოდგომა შეახვევს ნაპირს,
ცივი და ბლანტი.

გაუტანელი ჭაობი ფარავს ღამის სათევად
მონიშნულ არეს,
მიწა ჩაწვება და ჭანჭრობი შავი შაშვების
ფრთაზე ბზინვარებს.

სწრაფწარმავალი დღეების ცვლაში
ბნელი ხლართი ვერ მოვაგვირისტე,
ერთს ვხედავ მხოლოდ. დავეხეტები.
ყოველ ნაბიჯზე მშორდება ქრისტე.

Natalia Trochym



უკრაინული პოეზიიდან

ნატალია ტროხიმი





СОНЕТ

Ти любиш дощ – тож будь мені дощем,
Я – чашею: налий мене по вінця!
Хай ніч вином по жилах потече,
І я засну, і ти мені наснишся...

Без дотику торкнеш краєчок вуст –
Так краплі дощові торкають воду...
Почуєш крижаний безгучний хруст –
Так ломить лід моя ріка зісподу...

Побачиш бризки на моїх очах –
коли ріка прорізалась з-під криги,
Порізалась об кригу... Біль прочах.
І сон минув. І дощ на щоках стигне...

Ти ще не знав ні льоду, ні ріки:
Ми мріяли на відстані руки...



სონეტი

წვიმას ეტრფი და წვიმად მექცევი,
ვერცხლის თასი ვარ, პირთამდე სავსე,
ძარღვებში ღვინო შემაქარცივებს
და სიზმარივით დაგიწვენ მკლავზე.

ისე უჩინრად შეარხვე ბაგეს,
თითქოს იმქვერევა ჰაერში წყალი,
ყინულის ლოგინს შხრიალით აგებ
ჩემი მდინარის ბუდეს შემწყდარი.

აბრწყინებს თვალებს ალმასის წვეთი,
ცრემლმა გაკვეთა ყინვის ხუნდები,
დაცხრა ტკივილი და განაკვეთი
წვიმიან სიზმარს დავუბრუნდები...

რადგან ჩვენ შორის აღარ გაკრთება
უცხო მდინარის ცივი ნათება.



Дорога

Дерева розгойдали землю –
 дерева, розгойдані вітром –
 аж небо кудись летіло,
 неначе шовкова стрічка
 блакитна, розписана білим,
 і хтось-то читав той розпис –
 пухнастий і загадковий –
 хтось, лежачи горілиць,
 аж очі спрагло занурив
 у небо...

А я
 цілувала воду:
 так довго – таку глибоку! –
 аж поки не стала повна
 дзвінкої свіжої сили, –
 аж поки згадала, як
 прозорого чистого ранку



გზა

ტოტებდალეწილი ხეები
 ქარში დედამიწას ეხლებიან.
 ან ზეცა საით გაფრენილა,
 ლურჯი აბრეშუმის ბაფთასავით,
 უჩინარი ხელით დაქარგული.
 ვილაც ცდილობდა ამოეხსნა
 ეს საიდუმლო ბარათები.
 მზეზე ნებივრად გაწოლილი
 თვალს აყოლებდა დასალიერს.
 მე
 წყალს ვკოცნიდი გახელებით,
 სიცოცხლის ჟინით ვივსებოდი...
 მერე უეცრად გამახსენდა
 ერთი ნათელი დღის სტუმარი,
 ფაფუკი ტანით ჭრელი ბაზი,
 კრიალა ფანჯრებს აწყდებოდა,
 მზის ათინათში ბანაობდა,



до мене постукав джміль –
 з розгону пухнастим тільцем
 в ранкову блискучу шибу,
 наповнену ясним промінням
 замріяного світила
 ударив – і раз, і вдруге! –
 так ніжно і ваговито,
 мов думав мене збудити... –
 аж поки побачила, як
 метелик при самій воді,
 мов квіточка біла, тріпоче –
 легесенький клаптик неба
 на ніжній стеблинці під вітром... –
 аж поки почула, як
 дорога чимсь пахне рідним,
 терпким і давно забутим –
 забута стара дорога
 між добрих старезних сосон, –
 і так було нею йти,
 неначе плисти у човні
 неквапним вузьким потоком,
 де веслами ніде бити –
 лиш крільми...

მიკაკუნებდა მოწიწებით,
 ჩემს გამოფხიზლებას ლამობდა...
 მერე
 უეცრად შევამჩნიე,
 ქარში ყვავილი მოცახცახე,
 ნაპირზე დამჯდარი პეპელა,
 ცის გამჭვირვალე მონარჩენი.
 მერე
 უეცრად ამედევნა
 იმ ბილიკების მოგონება,
 მძაფრი, დიდი ხნის გაფანტული,
 ბებერ ნაძვებთან რომ იკარგება.
 ახლა კი
 ამ გზით სიარული
 ნაფოტივით პატარა ნავით
 წყალში აღმასვლას ემსგავსება,
 იქ ხომ ნიჩბებსაც ვერ მოიქნევ,
 იქ უნდა მოიქნიო ფრთები.



Чоловікові на ім'я Час

Чомусь так сталося,
що чоловіки
мені коштовностей
не дарували...
І тільки ТИ
до міді моїх кіс
досипав срібла
щедрою рукою.



მამაკაცს – სახელად დრო

უცნაურია, რომ კაცები
არ მჩუქნიდნენ
ძვირფას სამკაულს.
მხოლოდ შენ ერთმა,
დაუნანებლად,
ჩემი ჟღალი თმის ელვარება
ვერცხლით დაფერე.

* * *

Капітани постáрілись рано:
 у довгих кощавих пальцях
 зминали останні листя
 і кáдали на дорогу,
 на смерть:
 під колеса, під ноги, –
 старечим голосом листя,
 хрипким і таки останнім,
 вишіптуючи питання:
 – Чом гинемо так
 зарання?
 – Он клени –
 ще й досі зелені!.. –
 І я дивувалася німо,
 і їх оминала в горі,
 і неба шукала вгорі.
 А небо
 було довкола:
 довкола серця,
 щоб йому
 блакитно було
 боліти...

* * *

წაბლის ხეები
 ბერდებთან
 და ხმელი თითებით ფშვნაან
 შემოდგომის
 დამზრალ ფოთოლს,
 მერე ჩამოყრიან გზაზე,
 ფეხით გასათელად
 იმეტებენ.
 ხმაგაბზარულები და შფოთიანები
 ჩიფჩიფებენ:
 ასე უდროოდ რატომ ვხმებით,
 როცა ნეკერჩხლები
 ფერსაც არ იცვლიან,
 გაოცებულები დგანან.
 წაბლი მწუხარე ტოტს მიხრიდა,
 ცა
 იხსნებოდა ოთხი მხრიდან,
 გულში აღწევდა –
 რომ მხოლოდ ლურჯი გამხდარიყო
 ტკივილის ფერი.

ბელორუსული პოეზიიდან

Наста Манцэвіч



ნასტა მანცევიჩი



* * *

Мы крочылі побач
рука ў руку
да пляча плячо
твар у твар
вочы ў вочы
у рот рот.
Так мы ступалі, крочылі
нага ў нагу,
пакуль ты не збочыла.
І цяпер вока за вока,
цяпер – зуб за зуб.

Усё, што ты з сабою забрала
я выскубу, адгрызу –
вярну сабе ўсё,
да сябе вярнуся...
Забяру сабе свае вочы,
з твару змыю твой твар,
адляплю ад вуснаў твае вусны,
вырву руку з рукі.

І калі сэрца сціснецца ад адчаю,
я буду шаптаць як мантру,
што ты – родная,
баючыся паверыць,
што ты чужая.

* * *

თვალი თვალს ცნობდა
და ხელი ხელს ეკვროდა,
გზას მივუყვებოდი
თანაზიარები,
ასე გრძელდებოდა
და მერე მოთავდა,
მხარი იცვალე
და დამრჩა იარები.

თურმე წავიღია,
რაც კი რამ მებადა,
ბოლმის და ტკივილის
დაცხრომას ვუნდები.
თვალეებს ამოგაკაწრავ
ნაძარცვი ბუდიდან
და სახეშეცვლილი
თავს დავუბრუნდები.

გული კი ჩურჩულებს –
ჩათავდა ცხოვრება...
ძვირფასო,
ეს სახე რად გეუცხოება.



* * *

Калі у вачох цямнее,
 мне хочацца проста ўкленчыць:
 “О Божа, хачу да мамы!
 да таты хачу на плечы...”
 каб апынуцца ў дзяцінстве,
 як колісь —
 хавацца ў шафе
 сярод кажухоў і шапак
 цукеркі цягаць з буйфету
 ды красці ў суседа слівы

...і быць маленькім і лёгкім,
 і, ёб вапу маць,
 Шчаслівым.



* * *

როცა მერვეა ფიქრი,
 სახეს მუხლებში ვმაღავ,
 დედის ნაფერებ სახლში
 მინდა მივვავდე მამას.
 სადაც ღიაა კარი,
 სადაც მომიწვობს ბუდეს,
 ძველ კარადაში შევყვრი
 ლაბადებსა და ქუდეებს.
 თახჩაში, როგორც ერთ დროს,
 ბებოს ქადები ეღოს.
 მინდა, მეზობელს ბაღში
 მწიფეს ვპარავდე ქლიავს,

სულ ცოტას ვითხოვ, რასაც,
 დედაც ვატირე თქვენნი,
 ბედნიერება ჰქვია.



* * *

Што мне рабіць з табою,
такой прыгожаю?
Калі ты стаіш на кухні
у аднаіх шкарпэтках
і варыш каву. мне.
у маёй кватэры, –
Глядзець на цябе.

Што мне рабіць з табою,
такой разумнаю?
Калі ты расказваеш
мне. з захапленнем
пра фільм, які паглядзела
пакуль я была на працы, –
Слухаць цябе.

>>>



* * *

არ ვიცი, რა ვქნა, რა მოგიხერხო
ასეთ მშვენიერს,
ქურასთან რომ დგახარ
ჩემს ბინაში
და ყავას მიდუღებ –
უნდა გიყურო.

არ ვიცი რა ვქნა,
რა მოგიხერხო,
ასე ჭკვიანად და გატაცებით
რომ მიაბოლო ფილმზე,
ჩემს არყოფნაში რომ გინახავს –
უნდა გისმინო.

>>>



Што мне рабіць з табою,
 такой пяшчотнаю?
 Калі ты усміхаешся
 і кратаеш мяне за руку
 сваёю рукою
 пяшчотнай, як ты уся, –
 Абдымаць цябе.

Што мне рабіць з табою,
 такую дзікай?
 Калі ты ператвараешся
 у ваўчыцу, і я
 імгненна
 ператвараюся у ваўка, –
 Спаць з табой.

Што мне рабіць з табою,
 такою зменлівай?
 Кожны дзень рознаю,
 Непаспасрэднаю,
 пазбаўленай логікі, ды
 Нявечнаю, –
 Быць з табой.



არ ვიცი, რა ვქნა,
 რა მოგიხერხო
 ასეთ ფაქიზს,
 როცა ილიმები და ხელით მებები
 ისე ნაზად,
 როგორიც თავად ხარ –
 უნდა მოგეხვიო.

არ ვიცი რა ვქნა,
 რა მოგიხერხო,
 როცა ძუ მგელივით აღმუვლდები,
 და მე გადავიქცევი ხვადად –
 შენთან უნდა დავწვე.

არ ვიცი, რა ვქნა,
 რა მოგიხერხო,
 ასე ამინდივით ცვალებადს,
 ყოველდღე ფერშეცვლილს,
 ნამდვილს და აუხსნელს –
 უნდა დავგრე შენთან.



* * *

Сяджу каля тэлевізара
 ем цукеркі
 паперкі
 сьлінай прымацоўваю
 да сьценкі.
 Адначасова
 дакладна – у перапынках
 калунаю пальцам
 ў шкарпэтках дзірку.
 Размалёўваю “А4”
 уздоўж і ўпоперак
 упоперак і ўздоўж
 Я
 злосны калючы вож
 іголки растуць
 на сьпіне.
 Ты патэлефануеш,
 ці не?



* * *

მივაჩერდები ეკრანს,
 შოკოლადების შეკვრა
 თვალსა და ხელს შუა ქრება,
 ვჭამ და ბრჭყვიალა ქალაქს
 ნერწყვით კედელზე ვაკრავ.
 და სარეკლამო ჭრებში
 ვაწვალე მალაღწინდას,
 თითზე მეხვევა ძაფი,
 წაღმა-უკუღმა ვვლდები
 პასტით „А4“-ის ფორმატს,
 ვარ ბრაზიანი ზღარბი,
 ჩემს ზურგს ეკლები ფარავს...
 – დამირეკავ
 თუ არა?



* * *

Калі недасканаласць свету
 заб'е апошнія мары ў маёй галаве
 І я прачнуся рана ад шуму
 дажджу за вакном
 Ну вось і усё, як кажуць,
 Game is over. Капец. Гамон.
 Вазьму тэлефонную слухаўку,
 пазваню дамоў – я нармальна, мама,
 нармальна...
 усё ў мяне. А як там ты?
 Глядзі, кладзіся спаць рана,
 перад сном пагуляць схадзі.
 Пакладу слухаўку.
 Пагалюся.
 Раздам даўгі.
 Гэй! Дайце мне цыгарэту
 І жоўты шалік даўгі



* * *

როცა ცხოვრების უკუღმართობა
 ოცნების ბოლო ფურცელს გადაშლის
 და უთენია გამალვებებს წვიმის თამაში,
 ვიგრძნობ, ბედიტად გასრულდება ჩემი გართობა,
 ფსონს ველარ ჩავაღ,
 მორჩა, შაბაში.
 დედასთან ვრეკავ –
 დე, კარგადა ვარ,
 კარგად, რა მიშავს,
 გაითვალისწინე,
 აღრე დაიძინე,
 და გაისეირნე ჰაერზე ძილის წინ.
 ესეც მოვათავე და გარეთ გავედი,
 თავი გავანებე ვალეებზე შავ ფიქრს,
 ჰეი, მეგობარო,
 მომე სიგარეტი,
 ერთი სიგარეტი და ყვითელი შარფი.

თურქული პოეზიიდან

აჰმეთ თელი

Ahmet Telli





Kurtlar

Bastıkça çitirdiyor otlar
 sanki eylül yürümüş buraya
 sinsi ve gözüpek canavar
 Bir rüzgar esse usulca
 belki nefes alacak orman
 doğrulup kalkacak ayağa
 Ama dağ taş bir duman
 örtüsü içinde şimdi
 hiç ses gelmiyor uzaktan
 Aç kurtlar basıyor ovayı.




მგლები

ბალახი ტყდება, ითელება.
 მოიპარება სექტემბერი
 მხნე და ავსული.
 თუ ერთხელ მაინც დაქროლავს ქარი,
 ტყე შეთქმულივით წამოდგება, აიტოტება,
 მაგრამ,
 ვაი, რომ
 ქვა-ლორღი ფარავს ჩანაცვრულ მიწას
 და დაზაფრული მღუმარებიდან
 ხეობაში შემოდიან მშიერი მგლები.



Yerleşik Çingene

Uzak çağlayanları anlatıyor bir su sesi
Ve ay yorgundu bütün gece yorumlanmaktan
Ey acısını bir pembeye dönüştüren çingene
Su ve ay hep yürür sense olduğun yerde



უჩვეულო ბოშა

წყალს ჩაკარგული ჩანჩქერების ამბავი მოაქვს,
მთვარე აიკლეს ღამის ყბედებმა.
ეჰ, ბოშა ქალო,
მრუმე ნალველს წითლად რომ ღებავ,
ეს შენ შეჩერდი.
ცა და მიწა მაინც მიდიან.



Kalbim unut bu şiiri

Uğuldayan ve hep uğuldayan
 bir orman kadar üşüyorum şimdi
 yanlış rüzgârlar esiyor dallarımda
 yanlış ve zehirli çiçekler açıyor
 Kanımda kocaman gözleriyle bir çılgılık
 Su ve ses kadar beklediğim
 ne kaldı geride, bilmiyorum
 uzanıp uyumak istiyorum gölgeme
 ve sarınmak o kocaman gözlerin
 uğuldayan rüzgârlarına
 Bir acıyı yaşarım ve zehrinden
 çiçekler üretim kömür karası
 uçurum kadar bir yalnızlık
 yaratırım kendime, atlarım
 Anısı yoktur küçük rüzgârların
 Yapraklarım yok artık kuşlarım yok
 büsbütün viran oldu dağlarım
 ezberimdeki türküler de savrulup gitti
 ömrümün karşılığı kalmadı sesimde
 sesimde yalnız ormanların gümbürtüsü
 Yanlış, daha baştan yanlış
 bir şiirdi bu, biliyorum
 ve belki ömrümüzün yakın geçmişi
 bu kadar doğruydu ancak, kimbilir
 Kalbim unut bu şiiri.



მაშინ ეს ლექსიც დაივიწყე, გულო

მცოვია, მაკანკალებს, როგორც ტყეს,
 როცა გამყინავი სიჩუმე ხმაურობს
 ცბიერი ქართი დარხეულ ტოტებში.
 ეს სხვა,
 სხვა შხამიანი ყვავილი იშლება სულში
 და კივილით ახელს თვალს.
 ჩემს დაღლილ სისხლში ჩავლილმა წყალმა
 ყველაფერი წაღეკა,
 არაფერი შემომრჩა.
 ახლა საკუთარ ჩრდილზე მინდა მოვისვენო,
 ღია თვალეში გაწოლილ ქარიშხალს მოვეფერო,
 ტკივილის შხამიდან გაშლილი მტევნით ამოვკრიფო
 შესამოსელი ყურუმყვავილი.
 მერე მოვუხმო მარტოობას და მასში, როგორც ქვესკნელში,
 უკანმოუხედავად გადავეშვა.
 უმნიშვნელო ქარებს არ სჭირდებათ მოგონებები...
 აღარც ფოთლები, აღარც ჩიტები, გავერანებულა მთები,
 გამწყდარა მშობლიური ჰანგი, ჰაი გიდი!
 ომრი მოიჭრა, სიცოცხლე ჩაკვდა ხმაში
 და კვლავაც მხოლოდ ტყეების ავი სისინი ისმის.
 იაღლიშია ლექსი – ვინ იცის...
 ან იქნებ მართლაც ნამდვილია ჩვენი,
 ჩემი და შენი ამბავი.
 მაშინ, ეს ლექსიც დაივიწყე, გულო.



Mecnun

Yanımda götüreceğin hiçbir şey kalmadı
Ellerindeki keder çizgilerinden başka
Ey, dinle, hayatın son sözü şudur ki sana
– Her mecnun yine bir çöl bulur kendine



მაჯნუნი

ალარაფერი მიგვეება საგზლად,
ხელის გულეზე დარდიანი ღარების გარდა,
უკანასკნელი გაგიცხადე მეგობარს ნება:
ეჰ, ყველა მაჯნუნს საკუთარი უდაბნო ხვდება.